თბილისის “დინამოს” და “სპარტაკის” გამარჯვება

4 სექტემბერს თბილისის ”დინამოს” და “სპარტაკის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა კუიბიშევში და მოსკოვში ჩაატარეს მორიგი კალენდარული მატჩები.

კუიბიშევში ადგილობრივი “კრილია სოვეტოვი” თამაშობდა თბილისის დინამოელებთან. თბილისელებმა შეხვედრა მძაფრი იერიშებით დაიწყეს და მე–12 წუთზე მათმა კაპიტანმა ღოღობერიძემ გახსნა ანგარიში. მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ “კრილია სოვეტოვის” თავდამსხმელმა ვოროშილოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა.

თამაშის მეორე ნახევარი კვლავ თბილისელების უპირატესობით მიმდინარეობდა. ჯერ ღოღობერიძემ, ხოლო შემდეგ ვარდიმიადიმ ვოლგელთა კარში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. კუიბიშევის ფეხბურთელებმა მოახერხეს მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა.

შეხვედრა მოიგო თბილისის “დინამომ“ ანგარიშით 3:2.

“ლელო”, 7 სექტემბერი 1951 წ.